

ომის ჟურნალისტიკა და მისი სპეციფიკა ჟურნალ „არსენალის“
ფოკუსში

**PECULIARITY OF WAR REPORTING ACCORDING TO
MAGAZINE “ARSENALI”**

ნატალია პატარკაცაშვილი _ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, III კურსის ჟურნალისტიკის
მიმართულების სტუდენტი.

Natalia Patarkatsasvhili _ Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Journalism_Junior;

2. ანი დეკანოსიძე _ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, III კურსის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტი.

Ani Dekanosidze- Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Journalism_Junior

აბსტრაქტი: ჩვენ მიერ წარმოდგენილი ნაშრომი მეტად აქტუალურ თემატიკას ეხება. მასში წარმოჩენილია თანამედროვე ქართული მედიის მუშაობის სპეციფიკა საომარი მოქმედებებისა და კონფლიქტური სიტუაციების გაშუქებისას. სამხედრო ჟურნალისტიკის განვითარების ტენდენციებზე თვალის მიდევნებით, შევეცადეთ ნათლად გვეჩვენებინა ქართველი ჟურნალისტების პროფესიონალიზმის პრობლემები, რამაც არაერთგზის იჩინა თავი კონფლიქტური ზონებიდან ინფორმაციის მოპოვება – გაშუქების პროცესში.

უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობიდან, წარსულიდან და დღევანდელიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სამხედრო თემების გაშუქება და საზოგადოებამდე საჭირო და აუცილებელი სამხედრო ინფორმაციის მიტანა. უახლოესმა წარსულმა, კერძოდ 2008 წლის აგვისტოს ომმა, ნათლად აჩვენა ის ხარვეზები, რომლებიც დღეს კონფლიქტებზე მომუშავე ჟურნალისტთა საქმიანობას ახლავს. სამწუხაროდ, ქართული მედია სამხედრო შინაარსის გადაცემებისა თუ ჟურნალ-გაზეთების ნაკლებობას განიცდის, მაშინ როდესაც სამხედრო აღმშენებლობა ქვეყნის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა უნდა იყოს. შესაბამისად, მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლება და საქართველოსა თუ მსოფლიოში მიმდინარე სამხედრო მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის სისტემატურად გავრცელება უმნიშვნელოვანესია.

ANNOTATION: THE ARTICLE PRESENTED BY US DEALS WITH VERY IMPORTANT ISSUES. IT PRESENTS THE SPECIFICS OF MODERN GEORGIAN MEDIA IN COVERAGE OF HOSTILITIES AND CONFLICT SITUATIONS. FOLLOWING TO THIS THEME WE HAVE TRIED TO SHOW THE PROBLEMS OF PROFESSIONALISM.

DUE TO GEORGIA'S GEOPOLITICAL LOCATION IT IS IMPORTANT TO COVER MILITARY ISSUES AND PROVIDE THE NECESSARY MILITARY INFORMATION TO THE PUBLIC. THE RECENT PAST, PARTICULARLY THE RUSSO-GEORGIAN WAR 2008, HAS CLEARLY SHOWN THE WEAKNESSES OF WAR CORRESPONDENTS' WORKS.

UNFORTUNATELY, THE GEORGIAN MEDIA SUFFERS FROM A LACK OF MILITARY CONTENT OR MAGAZINES AND NEWSPAPERS, WHILE MILITARY RECONSTRUCTION SHOULD BE ONE OF THE COUNTRY'S TOP PRIORITIES. THEREFORE, RAISING THE LEVEL OF AWARENESS OF THE POPULATION AND SYSTEMATICALLY REPORTING INFORMATION ABOUT THE CURRENT MILITARY SITUATION IN GEORGIA AND THE WORLD IS THE MOST IMPORTANT.

საკვანძო სიტყვები: ცნობიერების ამაღლება, ინფორმაცია, საინფორმაციო ომი, ომის ჟურნალისტიკა, სამხედრო შეიარაღება, ჟურნალი „არსენალი“.

ომის ჟურნალისტიკა და მისი სპეციფიკა ჟურნალ „არსენალის“ ფოკუსში

რამდენადაც ომი ცივილიზაციისა და სამყაროს მუდმივად თანმდევი მოვლენაა სამხედრო სფერო და, შესაბამისად, სამხედრო ჟურნალისტიკაც დროსთან ერთად იხვეწება და სულ უფრო აქტუალური ხდება. საუკუნეების განმავლობაში საქართველოს ომის თვალსაზრისით უამრავი გამოცდილება დაუგროვდა, რომლებიც 2008 წლის

საქართველო-რუსეთის ომმა „დაავიღვინა“. ამდენად, ომის ჟურნალისტიკის განვითარების მნიშვნელობა დღითიდღე იზრდება. რასაკვირველია, ომის ჟურნალისტიკა არსებითად არ განსხვავდება ჟურნალისტიკის ძირითადი პრინციპებისგან, როგორც სამოქალაქო ისე სამხედრო ჟურნალისტიკისთვის უმთავრესია 1983 წელს, პარიზში, საერთაშორისო და რეგიონულ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ ჩამოყალიბებულ პრინციპებთან თანხვედრა, რომელთაგანაც პირველი და ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგი: „ხალხსა და ინდივიდებს აქვთ უფლება მიიღონ ობიექტური სურათი რეალობისა ისევე, როგორც ნებისმიერი მედიასაშუალებით თვითგამოხატვის შესაძლებლობა.“ ამდენად, ომის გაშუქების დროს ჟურნალისტმა რეალური სურათის ჩვენება უნდა დაისახოს მიზნად, მისი მთავარი მიზანი უნდა იყოს ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისთვის ყველანაირი ემოციებისა და შეფასებების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ კარგად გვესმის და ვიაზრებთ კონფლიქტურ სიტუაციებში მუშაობის სირთულეს, მიგვაჩნია, რომ ობიექტურობა ეს არის ის უმთავრესი თვისება, რომელიც კრიტიკულ სიტუაციებშიც კი არ უნდა დაკარგოს ჟურნალისტმა.

სანამ უშუალოდ ჟურნალ „არსენალის“ განხილვაზე გადავალთ ჩვენ გვინდა გავიხსენოთ ის ხარვეზები, რომლებიც 2008 წლის ომის მიმდინარეობისას ჟურნალისტთა საქმიანობაში გამოვლინდა. კერძოდ :

- 2008 წლის 8 აგვისტოს, შუადღეს სოფელ მეღვრევისის შესახვევთან მდგარმა ერთ-ერთმა ქართულმა ტელეარხმა პირდაპირი ჩართვა სწორედ მაშინ დაიწყო, როდესაც გზაზე ცხინვალისკენ მიმავალი ქართული სამხედრო კოლონა გამოჩნდა .

- რუსთავი 2-ის საომარი მოქმედებებისას მომზადებულ მასალაში, კერძოდ, ნანუკა ჟორჯოლიანის სიუჟეტში ისმის შემახილები : „ წავედით...სად წავედით???“ „წელა ტანკი“, როდესაც ტანკი საერთოდ არ ყოფილა იქ.

- მოდელირებული ქრონიკა, როდესაც მოვლენების ინსცენირებას შეეცადნენ ჟურნალისტები და რუსული ჯარი საქართველოს ტერიტორიაზე კიდევ ერთხელ „შემოიყვანეს“.

- ტელეკომპანია “რუსთავი-2” ინფორმაციას ავრცელებდა, თითქოს ქართული არმია ცხინვალის 70%-ს აკონტროლებდა, დანარჩენ 30%-ში კი გაწმენდითი ოპერაციები მიმდინარეობდა.

ეს იმ უხეში შეცდომების მცირე ჩამონათვალია, რომლებმაც ჟურნალისტური საქმიანობის შესრულების პროცესში იჩინეს თავი. საკითხავია რა იყო ამის გამომწვევი მიზეზი? ჩვენი აზრით, ამის უმთავრესი მიზეზი არასათანადო მომზადება და ომის ჟურნალისტიკაში მოქმედი წესების არცოდნა იყო. ქართული მედია ინფორმაციას სეგმენტურად და ფრაგმენტულად გადმოსცემდა, უამრავი მშვიადობიანი მოქალაქე აგვისტოს მოვლენებს ერთადერთი რამის გამო შეეწირა - მათ საფრთხის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდათ, ეს ხალხი სახლებში დარჩა, და ტელევიზორებს უყურებდა. ყველაზე დიდი შეცდომა, რომელიც ქართულმა მედიასაშუალებებმა დაუშვეს იყო ჩვენი ჯარების მოძრაობისა თუ განლაგების პირდაპირი ეთერით გაშუქება, მაშინ

,როდესაც რუსეთს თავისუფლად შეეძლო სწორედ ქართული მედიების საშუალებით , უბრალოდ ტელევიზორის ჩართვით ჩვენი სამხედრო სტრატეგიებისა და ძალის შესახებ ინფორმაციის მიღება და,შესაბამისად,ჩვენს წინააღმდეგ გამოყენება.აქვე გვინდა შეგახსენოთ მსგავსი ფაქტი,რომელიც უახლოეს წარსულში 2017 წელს გადაგვხვდა თავს,კერძოდ,ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე მომხდარი ტერორისტული აქტი,რომლის დროსაც რამდენიმე საათის განმავლობაში მედიაშუალებები პირდაპირი ეთერით გადასცემდნენ სპეცრაზმის განლაგებისა და მოძრაობის შესახებ ინფორმაციას, რაც ხელმისაწვდომი იყო,როგორც მოსახლეობისათვის ,ისე შენობაში გამაგრებული ტერორისტებისთვის.მიუხედავად იმისა,რომ ეს ხარვეზი მალევე გამოსწორდა და შემდგომში უკვე 20 წუთის დაგვიანებით გადაიცემოდა ინფორმაცია,მაინც შეგვიძლია დავასკვნათ,რომ 2008 წლის ომში დაშვებული ხარვეზების აღმოფხვრა დღემდე ვერ მოხერხდა. არსებობს ომის დროს ჟურნალისტების მოქმედების ძირითადი პრინციპები და სავარაუდო სამოქმედო გეგმაც თეორიის სახით,რომლის განხორციელება არცთუ ისე ეფექტიანად შეძლებს ჟურნალისტებმა ჩვენ მიერ განხილულ ბოლო ორ შემთხვევაში.აღსანიშნავი და სამწუხაროა ის ფაქტი,რომ ქართულმა მედიამ 3 ჟურნალისტი დაკარგა, აგრეთვე ომმა იმსხვერპლა ჰოლანდიელი ტელეოპერატორი სტან სტორიძიანი.

მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლება და მსოფლიოში მიმდინარე სამხედრო მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის სისტემატურად გავრცელება უმნიშვნელოვანესია , შესაბამისად ჩვენ გვინდა განვიხილოთ საქართველოში მოქმედი ერთადერთი სამხედრო თემატიკის ჟურნალ „არსენალის“ 2018 წლის თორმეტივე ნომერი და გამოვკვეთოთ ის ტენდენციები,რომლებიც თემატური თვალსაზრისით ჭარბობს ამ წლის ნომრებში.

ჩვენი ისტორია

2018 წლის თორმეტივე ნომერში გამოყოფილი ეს რუბრიკა ეხება რუსეთის „ჰიბრიდულ ომს“ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ. ნომრებში თანმიმდევრულად ვეცნობით საბჭოთა კავშირის კარგად დაგეგმილ პოლიტიკას-ფარული სატელეფონო მოსმენებით, ჩვენი ქვეყნის შეიარაღების სრული შესწავლით, ბოლშევიკების ეკონომიკური ომის და სამხედრო დაზვერვის სრულ ანალიზს. საინტერესოა, რომ რუბრიკა ამ ომის პერიოდში გამოჩენილი გენერლების პიროვნებებთან ერთად მათ ტაქტიკებსაც გვაცნობენ, ჟურნალისტური თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნაწილი კი ერთი ფაქტის ყველა არსებული ვერსიის წარმოდგენაა მკითხველისთვის. მაგალითად: 1919 წლის 13 სექტემბრის ტერაქტის ქართული და საბჭოთა საგარეო დაზვერვის ვერსიები. ჟურნალისტები გვაწვდიან ორ არსებულ ვერსიას, რომელთა შორისაც „არჩევანის გაკეთება“ უკვე ჩვენზეა. ეს მიუკერძოებელი ტენდენციაა და შესაბამისად, ფაქტის ორივე და არსებულ კონტექსტში წარმოჩენა აღნიშნულ სტატიაზე მომუშავე ჟურნალისტების პროფესიონალიზმს უსვამს ხაზს. ფაქტობრივად, ესაა რუბრიკა, რომელიც ჩვენი ქვეყნის თავს გამოვლილი წინა საუკუნის ომის მსვლელობას ნათლად გვიხატავს, შესაბამისად, მკითხველს საშუალება ეძლევა „ძველი“

და „ახალი“ ომის მსვლელობის შედეგების, რადგან მტერი რეალურად არ შეცვლილა, წინა საუკუნეში თუ იყო საბჭოთა კავშირი, 2008 წელს იყო რუსეთი.

რა თქმა უნდა, შეუძლებელია არსენალის 2018 წლის ნომერზე საუბარი აგვისტოს ომის გარეშე, რომელსაც ჟურნალმა მერვე ნომერში 7 რუბრიკა მიუძღვნა. ამ ნომერში ომის წინმსწრები პერიოდიდან დაწყებული ომის შემდგომი პერიოდით დამთავრებული ყველა დეტალი და ნიუანსია განხილული. პირველი რუბრიკა რუსეთის მომზადების, კერძოდ, ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის სწავლების „კავკაზ 2008“ ის შესახებ უყვება მკითხველს. კარგადაა განხილული ყველა ის დეტალი, რომელიც გვარწმუნებს რომ 2008 წლის აგვისტოს ომი წინასწარ კარგად იყო დაგეგმილი. როგორც აღმოჩნდა რუს ჯარისკაცებს დაურიგეს ფურცლები სახელწოდებით „იცნობდე შენს მტერს“, რომელშიც მოცემული იყო საქართველოს არმიის შემადგენლობა, შეიარაღება, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები. რუბრიკა თანამიმდევრულად მიყვება ომის მსვლელობას - ფაქტობრივად აცოცხლებს 10 წლის წინანდელ საქართველოს, განსაკუთრებით კი გორს. ჟურნალის აღნიშნულ ნომერში ხუთდღიანი ომის თითოეული დღის დეტალური განხილვაა მოცემული. როგორც ჩვენი, ისე რუსეთის ყველა ქმედების დაწვრილებით აღწერას თან ახლავს შესაბამისი ფოტოსურათები-ტანკების, რაკეტების, ბომბდამშენების და ა.შ. რეალურად ესაა ომის მსვლელობის სრულყოფილი გაშუქების თვალსაჩინო მაგალითი, რომელიც ომში მონაწილე ოფიცრების ინტერვიუებითაა გაჯერებული. როგორც ჟურნალის ტური პროდუქტი ინფორმაციული თვალსაზრისით საკმაოდ კარგია, ფაქტებს თან კომენტარებიც ახლავს, რომლებიც სრულყოფს, ამდიდრებს აღწერილს და გამიჯნულია ერთმანეთისაგან. ახალ თაობას, რომელსაც ბუნდოვნად, ან საერთოდ არ ახსოვს 2008 წლის ომი, სრულყოფილი წარმოდგენა ექმნება თუ რა ხდებოდა და როგორ მიმდინარეობდა ხუთდღიანი ომი, რა ტიპის არტილერიას იყენებდა ორივე მხარე, რა უძღოდა წინ ამ კონფლიქტს და რეალურად, რა შედეგების წინაშე აღმოვჩნდით ჩვენ.

განხილული რუბრიკები 2018 წლის ყველა ნომერში მეორდებოდა, ამიტომ სამართლიანად მივიჩნით მათი გამოყოფა და უფრო დეტალურად განხილვა, თუმცა ამ რუბრიკების გარდა სხვადასხვა ნომერებში იყო დროებითი რუბრიკებიც საინტერესო და აქტუალური თემების შესახებ, სწორედ ერთ-ერთი ასეთი იყო ტერორიზმი- ოცდამეერთე საუკუნის ყველაზე მწვავე თემა, რომელიც აჰმეთ ჩატაევს და 2017 წლის 22 ნოემბრის ბერი სალოსის ქუჩაზე მომხდარ ტერორისტულ აქტს ეხება. სტატიაში დეტალურადაა აღწერილი ჩატაევის მიერ განვლილი გზა თბილისში ჩატარებულ ოპერაციამდე. გარდა იმისა, რომ სტატია ინფორმაციული თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესო და სრულყოფილია, აღსანიშნავია ისიც რომ დაცულია ჟურნალის ტური ეთიკის ნორმები, რომელსაც უნდა ვიცავდეთ ტერორიზმის გაშუქებისას. კერძოდ, ჟურნალისტები ყველანაირად ერიდებიან რომანტიზების ტენდენციას, რაც სამწუხაროდ ტელევიზიების მიერ შექმნილ რეპორტაჟებში გამოიკვეთა (იმედი, რუსთავი2).

ასევე აღსანიშნავია რუბრიკები, რომლებშიც განხილულია საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან. მაგალითად: ჩვენი ურთიერთობა გერმანიასთან და მის როლი ჩვენი ქვეყნის NATO-ში გაწევრიანებასთან

დაკავშირებით. ბოლოს გვინდა გამოვყოთ ყველაზე ემოციური რუბრიკა ვეტერანების შესახებ, რომლებშიც ვეცნობით ომში მონაწილე ადამიანებს და დაწვრილებით ვისმენთ მათ ისტორიებს.

ჟურნალ „არსენალის“ 2018 წლის ნომრების განხილვის შემდეგ გამოიკვეთა ძირითადი თემები, რომლებიც პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა.

საბოლოოდ, გვინდა შემოგთავაზოთ იმ რეკომენდაციების მცირე ჩამონათვალი, რომელთა გათვალისწინებაც ჟურნალისტებს ხელს შეუწყობს, რომ ომისა თუ კრიზისული სიტუაციების გაშუქებისას იმუშაონ უსაფრთხოდ და ეფექტიანად.

- აუცილებელია საინფორმაციო თავშესაფრის არსებობა, რომელიც სათანადოდ გამაგრებული და შესაფერისად მოწყობილი იქნება-თავისი სარეზერვო და პირველადი დახმარების პუნქტებით. საჭიროების შემთხვევაში უკან დახევის გეგმა და სათანადო მარშრუტის არსებობაც აუცილებელია.

- არცერთი რეპორტაჟი, მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, არ ღირს ჟურნალისტის სიცოცხლის ან ფიზიკური ზიანის ფასად.

- საჭიროა ჟურნალისტებს ჰქონდეთ სპეციალური აღჭურვილობა, მუზარადი და ჯავშანჭილეთი, რომელსაც აუცილებლად უნდა ჰქონდეს წარწერა Press ან TV, ისინი არცერთ შემთხვევაში არ უნდა იყოს ხაკისფერი.

- არცერთ შემთხვევაში ოპერატორი არ უნდა ამოეფაროს კედელს და სანგრიდან თავაწეულმა არ უნდა დაიწყოს გადაღება, რადგან ამ დროს კამერა იარაღის ასოციაციას იწვევს და შესაძლოა ვერ მოხერხდეს ჟურნალისტისა და მეომარის ერთმანეთისგან გარჩევა.

სამწუხაროდ ამ რეკომენდაციებს დასავლური ქვეყნების ჟურნალისტები უფრო მისდევენ, ვიდრე ქართველები, რის გამოც სავალალო შედეგების წინაშეც ხშირად აღმოვჩენილვართ. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ჟურნალისტთა საქმიანობა საკმაოდ საპასუხისმგებლოა, განსაკუთრებით კი კრიზისული სიტუაციებისა და ომის გაშუქების დროს, შესაბამისად, ვისურვებდით, რომ ამ მიმართულებით ქცევის კოდექსის შემუშავება და ჟურნალისტთა სპეციალური გადამზადება მოხდეს.

ბიბლიოგრაფია

1. ჟურნალ „არსენალის“ 2018 წლის 12 ნომერი

2. ვარდიაშვილი, ზურაბ. 2012 „ომის პირველი მსხვერპლი - სიმართლე”.
Liberali. ბოლო ნახვა 30.02.20 <http://liberali.ge/articles/view/2601/salome.ge>